სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 აგვისტო 2026

N 574/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სალიცენზიო ობიექტიდან (ჭაბურღილი) წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება, როდესაც მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა წელიწადში 100 000 მ³-ზე მეტია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი წარმოდგენილია ერთი ჭაბურღილით, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 579 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს (GPS კოორდინატები: X-480873.224 Y-4640146.233; ფართობი: 0,07 ჰა). აღნიშნული ჭაბურღილიდან, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გათვალისწინებულია წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება, ხოლო ლიცენზიის გაცემის ვადად 15 წელია განსაზღვრული.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების ქართლის არტერიულ აუზს მიეკუთვნება. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოდგენილია ძველი მეოთხეულის დაუნაწევრებელი ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსით, სადაც წყალშემცველებად ითვლება კაჭარ-კენჭნარები, კენჭნარები ქვიშნარის და ქვიშნარ-თიხნარის შემავსებლით, ქვიშები, იშვიათად – თიხნარი. შედარებით წყალგაუმტარია კაჭარ-კენჭნარი თიხის შემავსებლით და თიხები.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტი ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე მდებარეობს. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით, ჭაბურღილის ტერიტორია I (მარტივი) სირთულის კატეგორიას მიეკუთვნება. სალიცენზიო ობიექტის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ჭაბურღილის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე 150 მეტრს შეადგენს, ხოლო საექსპლუატაციო მარაგი P (პროგნოზული) კატეგორიითაა წარმოდგენილი. ქიმიური შედგენილობით,

პირველი ფენის წყლები, ძირითადად, ჰიდროკარბონატული, ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმიან-ნატრიუმიანი და იშვიათად – კალციუმიან-მაგნიუმიანი ტიპისაა, ქლორის უმნიშვნელო შემცველობით. მიწისქვეშა მტკნარი წყლის მინერალიზაცია 0,6-1,3 გ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო ტემპერატურა 9-15^{0}C-ის ფარგლებში მერყეობს. მიწისქვეშა მტკნარი წყლის სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენება შესაძლებელია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვინაიდან ჭაბურღილი არსებულია, იგი მხოლოდ თავმორთულობის მოწესრიგებას, ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას საჭიროებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან ან/და ახალი ტერიტორიის ათვისებასთან დაკავშირებული არ იქნება, რაც გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას გამოიწვევდა.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ასევე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომლებსაც ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო ადგენს, დაგეგმილი საქმიანობა წყლის გარემოს დაბინძურებას არ გამოიწვევს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტიდან წელიწადში 150 000 მ^3 მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნას სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სალიცენზიო ობიექტიდან (ჭაბურღილი) წელიწადში 150 000 მ^3 მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება **არ დაექვემდებაროს გზშ-ს.**

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში, გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/574-21-4-202608112128